ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/20

I შეკითხვა:

ადვოკატს მიმართა პირმა კონსულტაციის მიღების მიზნით. მან ადვოკატს გააცნო საქმის მასალები, რის შემდგომაც ადვოკატმა ზეპირი რჩევა მისცა სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. მოგვიანებით, ადვოკატი ჩაერთო სასამართლოში წარმომადგენლად იმავე საქმესთან დაკავშირებით, თავდაპირველი კონსულტაციის მსურველი პირის წინააღმდეგ. ზეპირი ფორმით რჩევის მიცემა არის თუ არა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების საფუძველი და რა ეთიკური ვალდებულება გააჩნია ადვოკატს კონსულტაციის მსურველი პირის მიმართ?

II ანალიზი:

"ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე" (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის (აპეკ-ის) 6.2(ა))

„ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით". (აპეკ-ის 4.1. მუხლი).

ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა, კერძოდ, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება იურიდიული რჩევის მიღების მსურველ პირთან გასაუბრების ეტაპიდანვე გააჩნია. ასეთ დროს, პირი ანდობს ადვოკატს საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისთვის პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს და იმავე საქმეზე შემდგომში წარმომადგენლობის განხორციელება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფუძველია. აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატმა გასცა გარკვეული რჩევები, რა დროსაც წარმოიშვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და ასეთ დროს, აპეკ-ით განსაზღვრული რეგულაციები ადვოკატზე სრული მოცულობით ვრცელდება.

III დასკვნა:

ადვოკატს პოტენციური კლიენტი აცნობს მისი საქმის თაობაზე ინფორმაციას, რომელიც დაცულია პროფესიული ვალდებულების შესაბამისად. უნდა იყოს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა მიიღო ინფორმაცია „პირველი კლიენტისგან“ საქმეზე და გასცა ზეპირი კონსულტაცია და მის მიმართ ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა აკისრია. შესაბამისად, „პირველი კლიენტის“ წინააღმდეგ იმავე საქმეში წარმომადგენლად ჩართვა არღვევს ეთიკურ ვალდებულებას.

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.